ორი ტაიმი – ორი სხვადასხვა გუნდი

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 1 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – “ზენიტი” (ლენინგრადი) 7:6 (1:1, 1:1, 6:5).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, მჭედლიშვილი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია (გ. მაჩაიძე), წერეთელი.

“ზენიტი”: პრონინი, დერემოვი, ლოხოვი, გოლუბევი, ზაგუმენიხი, სადირინი, სტრეპეტოვი, ტრემბაჩი, გონჩაროვი (ნიკოლაევი), ზინჩენკო, ჟიგუნოვი (კოხი).

მსაჯი: ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 0:3. მინდვრიდან გაძევებულია გ. გავაშელი (“დინამო”).

აი, უკვე მეორე მატჩია ზედიზედ, რაც თბილისის “დინამო” გასაოცრად განსხვავებული ძალით თამაშობს მატჩებს: პირველი ტაიმი ჩვენს ფეხბურთელებს შესანიშნავი აქვთ – ტემპიანი, საბრძოლო, აქტიური, მეორე კი, პირიქით – უკიდურესად სუსტი, ინერტული, უნებისყოფო. თითქოს ამ ორ ტაიმში ორი სხვადასხვა გუნდი გამოდისო მინდორზე. განსხვავება ისეთია, რომ რაიმე პარალელის გავლება, მსგავსების მოძებნა შეუძლებელი ხდება. როგორც იტყვიან, ცა და დედამიწაა…

უმიზეზოდ არსად არაფერი ხდება, მათ შორის – ფეხბურთშიც. განა შეიძლება უმიზეზოდ, “თავისთავად”, პირველ ტაიმში მთელი თავით მაღლა იდგა მეტოქეზე, მეორეში კი ასევე ჩამოქვეითდე? თანაც, ეს ისე კი არ ხდება, რომ მეორე ტაიმი დაიწყოს და მეტოქემ თანდათან, მეთოდურად იგდოს ხელთ საერთო უპირატესობა, შეძლოს გარდატეხის შეტანა თამაშში. არა. იწყება მეორე ტაიმი და პირველივე წუთიდან დინამოელები საშინლად დაქანცული, დემობილიზებული ჩანან.

ჩვენ ვიცით, რომ თბილისის “დინამოში” ძალიან მძიმე მდგომარეობაა შექმნილი მოთამაშეთა ავადმყოფობისა და ტრავმების გამო და ნამდვილი საბრძოლო შემადგენლობის გამოყვანა არ ხერხდება. ახლაც აკლდნენ გუნდს წამყვანი ფეხბურთელები და, ვინც მინდორზე გამოვიდა, მათს გარდა სათადარიგოთა სიაში მხოლოდ ოთხი კაცი ეწერა: ლ. ნოდია, ხიზანიშვილი, გ. მაჩაიძე, და მეკარე გაგოშიძე, თანაც თითოეულმა მათგანმა წინა დღეს დუბლიორთა მატჩში ითამაშა. ასეთ რთულ ვითარებაში გუნდს აუცილებლად ესაჭიროება თანაგრძნობა გულშემატკივართა მხრივ. მაგრამ მაინც გაურკვეველია, რატომ აუარესებენ თამაშს ასე მკვეთრად, ასე ხელის ერთი მოსმით ჩვენი ფეხბურთელები შესვენების შემდეგ?

“ზენიტი”, რომლის სატურნირო მდგომარეობაც წლევანდელ ჩემპიონატში ძალიან არასახარბიელოა, თავიდანვე დაწინაურდა: მე–20 წუთზე ცენტრალურ ზონაში გადანაცვლებულმა ჟიგუნოვმა სწრაფი გარღვევა შეასრულა საჯარიმო მოედანზე და ხურცილავამ იგი აშკარად აკრძალული ხერხით წააქცია. პენალტი ეჭვს არ იწვევდა და სადირინმა შეუცდომლად გამოიყენა იგი – 1:0. მაგრამ უპირატესობა ტაიმის მსვლელობაში “დინამოს” ჰქონდა, ბევრი ხელსაყრელი მდგომარეობა არ იქნა გამოყენებული, ბოლოს, 29–ე წუთზე, ისევ ხურცილავამ გამოისყიდა თავისი “დანაშაული”, როცა საჯარიმო გათამაშებიდან ზუსტად და ძლიერად დაარტყა მარცხენა კუთხეში – 1:1.

მეორე ტაიმში ინიციატივა მთლიანად ლენინგრადელებს ჰქონდათ. მათი ცენტრალური თავდასხმის წყვილი – გონჩაროვი და ზინჩენკო, აგრეთვე, შუა ხაზის

მოთამაშეები სისტემატურად უგებდნენ ბრძოლას მასპინძლებს, მეტს მოძრაობდნენ, უფრო ენერგიულად და მოფიქრებულად მოქმედებდნენ, უფრო ზუსტი კომბინაციები ჰქონდათ. ერთი სიტყვით, თამაში მათი იყო. მიუხედავად ამისა, დინამოელებს გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობა მიეცათ, როცა გუცაევი მარცხენა ფლანგიდან გაექცა "ზენიტის" მცველებს, გამოიტყუა კარიდან პრონინი, მოასწრო დარტყმა. მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა და შემდეგ სტუმართა მცველებმა მოიგერიეს იგი.

თბილისელებმა ძალიან მძიმე ბრძოლაში შეძლეს ანგარიშის შენარჩუნება და საქმე, უკვე მეხუთედ წლევანდელ გათამაშებაში, 11–მეტრიანებზე მიდგა. პენალტების პირველი სერია ორივე მხარემ 100 პროცენტით შეასრულა. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს კანთელაძემ, მჭედლიშვილმა, წერეთელმა, ძოძუაშვილმა, გუცაევმა, ხოლო ლენინგრადელთგან – კოხმა, ტრემბაჩმა, სადირინმა, ნიკოლაევმა და ზინჩენკომ. შემდგომში დინამოელები ისევ მეკარე გოგიამ იხსნა, რომელმაც თავისი ტრადიციული ნახტომით აიღო დერემოვის დარტყმა, რის შემდეგ მ. მაჩაიძემ დააგვირგვინა თავისი გუნდის ერთქულიანი გამარჯვება.

დაბოლოს, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ლენინგრადელები მთელი მატჩის მსვლელობაში უხეშად თამაშობდნენ, ხელით იჭერდნენ დინამოელებს, როგორც კი ისინი სახიფათო გარღვევაზე გადიოდნენ, ხოლო არბიტრი ი. ლუკიანოვი ამ უმსგავსობის წინააღმდეგ არ მიმართავდა თამაშის წესით განსაზღვრულ გადამჭრელ ზომებს.

რ. ქორიძე.
"ლელო", 3 ივლისი, 1973 წ.